8510/4-2/22 2 15092022

8510/4-2/22
15-09-2022

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს,

ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. 2016-2022 წლებში რამდენი პირის მიმართ, რამდენი სისხლის სამართლის საქმე იქნა განხილული საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის (მათ შორის, 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის) მიმართ ჩადენილი გაუპატიურების ბრალდებით და რა შედეგით დასრულდა აღნიშნული საქმეები?
2. პირველ პუნქტში მითითებულ სისხლის სამართლის საქმეებში რამდენ შემთხვევაში იყო ჩადენილი დანაშაული 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ (როდესაც ასეთი გარემოება იკვეთება ბრალად წაყენებული ქმედების კვალიფიკაციიდან)?
3. პირველ პუნქტში მითითებულ სისხლის სამართლის საქმეებში რამდენ შემთხვევაში იყო დანაშაულის ჩამდენი პირი არასრულწლოვანი?

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2020 წლის 17 მარტის N5750-IIს კანონით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე